„გვახსოვდეს ვისი გორიანი ხარ!“

გვარი და ტრადიცია

2 (40)

თებერვალი 2017 წ.

საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“
სრულიად საქართველოს გვარის წინამძღოლთა დარბაზის საბჭოს გაზეთი

ქალბატონებო გვაროსანთა ქალთა დღეს!

ვულოცავთ!

საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ გამგეობის თავმჯდომარეს, სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის საბჭოს თავმჯდომარეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს ბატონ ლევან ფრუიძეს შეუსრულდა 84 წელი.

ვულოცავთ ბატონ ლევანს დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს თავის ოჯახთან ერთად.

გვარიშვილთა მხატვრული თვითშემოქმედების საღამოს დებულება

გვარიშვილთა მხატვრული თვითშემოქმედების საღამო ეძღვნება საქართველოს მართმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის აღსაყდრების 40 წლისთავს.

საღამოს ჩატარების მიზანია საქართველოს სხვადსხვა მხარის,ქალაქების, სოფლების და საგვარეულოთა კავშირების მომზადება და სტიმულის მიცემა მომავალი, ხანგრძლივპერიოდიანი და მრავალფეროვანი ფესტივალიდათვალიერების ჩატარებისათვის. ცალკეული საგვარეულო და საოჯახო გუნდების და ანსამბლების ჩამოყალიბებისათვის, ცალკეული ინდივიდუალურ-შემსრულებლების გამოვლინებისა და საგვარეულო მოძრაობაში მათი აქტიურად ჩაბმისათვის.

საღამოს ჩატარების დევიზია ,,გვახსოვდეს ვისი გვარისანი ვართ“.

საღამო იქნება ერთდღიანი. იგი ჩატარდება 2017 წლის 21 აპრილს საღამოს 5 საათზე საპატრიარქოს ტელევიზიის დარბაზში.

საღამოში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს მხარეების, ქალაქების და სოფლების ნაკრებ სიმღერის გუნდებს, საგვარეულოთა კავშირების სიმღერის გუნდებს და საოჯახო აბსამბლებს, ინდივიდუალურ ვოკალურ-შემსრულებლებს, ხალხურ და კლასიკურ ინსტრუმენტებზე შემსრულებლებს, მხატვრული კითხვის ოსტატებს. ნაწარმოებები უნდა იყოს ქართველი კომპოზიტორების. მონაწილეთა ასაკი განისაზღვრება 7 წლიდან ზევით. საკონცერტო ნომრების რაოდენობა განსაზღვრულია 15-ით. იმ შემთხვევასი თუ ნომრების განაცხადების რაოდენობა გადააჭარბებს 15-ს ჩატარდება შესარჩევი კონკურსი. განაცხადები უნდა იქნეს წარმოდგენილი არა უგვიანეს 20 მარტისა. განაცხადები შეუძლიათ წარმოადგინონ ადგილობრივმა თვითმმართველობებმა და საგვარეულოთა კავშირებმა.

მომღერალი გუნდების წევრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს თხუთმეტს.

საღამოს ყველა მონაწილეს გადაეცემა მონაწილის დიპლომი.

ორგანიზაციებს, კომპანიებს და ფიზიკურ პირებს შეუძლიათ შეარჩიონ თავიანთი სიმპატიები და გადასცენ სამახსოვრო საჩუქრები.

საღამოში მონაწილეთა საორგანიზაციო ხარჯებს უზრუნველყოფს წარმომდგენი ადგილობრივი თვითმართველობები და საგვარეულო კავშირები.

საღამოს ჩატარების ორგანიზატორია საქართველოს საგვარეულოთა კავშირი ,,გვარი და გვარიშვილობის“ გამგეობა.

ყველა ორგანიზაციულ საკითხებზე უნდა მიმართოთ ტელეფონებზე:

599 50 58 37; 599 90 26 01.

საქართველოს საგვარეულოთა კავშირი
,,გვარი და გვარიშვილობის“ გამგეობა

საინფორმაციო ქრონიკა

***

– 2017 წლის 25 იანვარს შედგა საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ გამგეობის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: ვაჟა ნადირაშვილი, თენგიზ მაისურაძე, ხათუნა სხირტლაძე, მერაბ ლეკვეიშვილი, ნინო სულამნიძე, მზია წიკლაური, მარატ კიტოვანი.

სხდომამ განიხილა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალის აღდგენის 100 წლისთავისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II–ის აღსაყდრებიდან 40 წლის აღსანიშნავი გვარიშვილთა მხატვრული თვითშემოქმედების საღამო ჩატარების საკითხი.

გადაწყდა საღამო ჩატარდეს 2017 წლის 21 აპრილს საღამოზე მონაწილეების მოძიება და წარმოდგენა დაევალა მარატ კილოვანს. ფესტივალი ჩატარდება საპატრიარქოს ტელევიზიის „ერთსულოვნების“ დარბაზში.

საღამოს ორგანიზების ხელმძღვანელობა და პასუხისმგებლობა დაეკისრა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ გამგეობას.

***

– 2017 წლის 1 თებერვალს შედგა საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ გამგეობის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ გამგეობის წევრები: ლ. ფრუიძე, ვ. ნადირაშვილი, თ. მაისურაძე, ხ. სხირტლაძე, მ. კიტოვანი, მ. წიკლაური, მ. ლეკვეიშვილი.

აგრეთვე ეწრებოდნენ: კავშირის წევრი საველ მარსაგიშვილი, სამეცნიერო საბჭოს თანათავჯდომარე ბეჟან ხორავა, კვარაცხელიათა და ჭითანავათა გვარის წინამძღოლები თემურ კვარაცხელია და ნოდარ ჭითანავა.

სხდომაზე პირველ საკითხად განიხილეს კავშირის ახალი წევრების მიღება.

მიღებული არიან კავშირის წევრებად ფიზიკური პირები:

საველ მარსაგიშვილი, ივანე კაკიშვილი, ომარ კაკიშვილი, ნაზი ქოიავა, რევაზ ბარამიძე, ეთერ ღურჭუმელია, ბესიკ კოჭლამაზაშვილი, ვალერიან კვატაშიძე, ნანა ფიფია, თორნიკე ბარელაძე, ზაზა სუდაძე, ნანა იზორია, ნესტან თუთისანი. აგრეთვე მიღებულ იქნენ კავშირის წევრებად საგარეულოთა კავშირები: მარსაგიშვილთა, შუბითაძეთა, კიტოვანთა, ბიწაძეთა, კვაშილავათა, ტუხაშვილთა.

მეორე საკითხად განიხილეს კვარაცხელიათა გვარის წინამძღოლის თემურ კვარაცხელია წინადადება გვარიშვილთა ყრილობის ჩატარების შესახებ.

გადაწყდა ყრილობის ჩატარების საკითხი განხილულიყო წინამძღოლთა დარბაზის შეკრებაზე, განსაზღვრულიყო ყრილობის დევიზი, მიმართულება და პროგრამა.

***

– 2017 წლის 6 თებერვალს შედგა გვარების წინამძღოლთა დარბაზის შეკრება. ინფორმაცია გააკეთა ვაჟა ნადირაშვილმა, მან გააცნო დარბაზს წინადადებები რომელიც წამოიჭრა დარბაზის წინა შეკრების შემდეგ.

პირველი წინადადება შეეხებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავისა და საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II–ს აღსაყდრების 40 წლისადმი მიძღვნილი გვარიშვილთა მხატვრული თვითშემოქმედების საღამოს ჩატარების საკითხს ა. წ. 21 აპრილს.

ეს წინადადება ერთხმად იქნა მოწონებული მეორე საკითხი გახლდათ კვარაცხელიების გვარის წინამძღოლის თემურ კვარაცხელიას წინადადება გვარიშვილთა ყრილობის ჩატარების შესახებ.

გადაწყდა ამ საკითხზე გაგრძელდეს შემდგომი მსჯელობები, ყრილობის დევიზისა და პროგრამის შემუშავებისათვის.

ისევ გვარების წინამძღოლთა დარბაზის შესახებ

როდესაც, 2011 წლის 3 ივლისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II–ს თანდასწრებით შეიქმნა სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზი და დარბაზის წინამძღოლად დასახელდა პატრიარქი, ვფიქრობდით საგვარეულო მოძრაობაში დაიწყო ურთიერთობის ახალი ეტაპი.

გვარების წინამძღოლები შეიკრიბებოდნენ ერთ დარბაზში, გაიცნობოდნენ ერთმანეთს, დაამყარებდნენ კონტაქტებს, გაუზიარებდნენ თავიანთ გამოცდილებას, დაეხმარებოდნენ საკითხების გადაჭრაში, იმსჯელებდნენ ეკლესიების და სოფლების აღდგენაზე, ტყე–პარკების გაშენებაზე და სხვა. თავისთავად ეს იდეა ყველასათვის მოსაწონი იყო და მას ყველა აღფრთოვანებით შეხვდა. წინამძღოლების ორი–სამი შეკრება სპონტანურად მოხდა, შემდეგ წარმოიშვა იდეა (არ დავმალავ ჩემს მიერ), რომ შექმნილიყო ორგანო, რომელიც ორგანიზებას გაუწევდა წინამძღოლთა დარბაზს, უხელმძღვანელებდა შეკრებებს, ახალ–ახალი საკითხების დასმას და გადაჭრას. გავუზიარე აზრი ბატონების ლევან ფრუიძეს და ავთანდილ არაბულს. მათ დაუჭირეს მხარი ჩემს წინადადებას: დამავალეს შეემუშავებიანა დებულება, როგორც არა რეგისტრირებული კავშირის. ამასთანავე შეიქმნა დროებითი გამგეობა საკითხების მომზადებისათვის.

შეკრებაზე, რომელსაც 200–ზე მეტი წინამძღოლი ესწრებოდა მიღებული იქნა დებულება, არჩეულ იქნა საბჭო 15 კაცის შემადგენლობით, განაწილდა მათ შორის ფუნქციები სექციების სახით.

მაშინვე იყო კამათი იმის თაობაზე, რომ დარბაზი დაფუძნებულიყო როგორც რეგისტრირებული კავშირი. მაგრამ ვინაიდან არსებობდა იურიდიული პირი – საქართველოს საგვარეულოთა კავშირი „გვარი და გვარიშვილობა“, გადაწყდა დარბაზი ყოფილიყო, როგორც არარეგისტრირებული გაერთიანება სათათბირო საკონსულტაციო ფუნქციებით. გარკვეული პერიოდი ამ სქემამ იმუშავა, წინამძღოლები აქტიურად ჩაებნენ მუშაობაში, ამოქმედდა სექციები, საბჭოს რიცხვითი შემადგენლობა თანდათან გაიზარდა ჯერ 21–მდე, შემდეგ კი 27–მდე. მაგრამ ცნობილი მოვლენების შემდეგ (საპატრიარქოსთან ურთიერთობის ცვლილებამ, გვარების დალოცვის ორგანიზების სხვისთვის გადაცემამ), თანდათან შეამცირა როგორც შეკრებებზე მომსვლელთა რაოდენობა, ისე წინამძღოლთა აქტიურობა. რამოდენიმე ენთუზიასტის თავგამოდებამაც ვერ უშველა გაფუჭებულ საქმეს.

მთავარი მაინც ის არის, რომ ბევრი წინამძღოლი ვერ გაერკვა წინამძღოლთა დარბაზისა და კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ ფუნქციებში, სტრუქტურაში და არსში, ამიტომ მიმდინარეობს მუდმივი კამათი ამ თემაზე. ამის გამო დარბაზმა დაკარგა ავტორიტეტი, კიდევ უფრო შემცირდა დასწრებები დარბაზის შეკრებებზე. ამასთანავე გაიზარდა კავშირის „გვარი და გვარიშვილების“ წევრთა რიცხვი ორმოცამდე. მუდმივი კამათი არის სხდომის წამყვანებისა და საკითხების მომზადების თაობაზე. ბევრი უკმაყოფილოა. ყოველივე ზემოთ თქმულის გამო წამომეჭრა აზრი, რომელსაც გთავაზობთ სამსჯელოთ. ეს არის ჩემი პირადი წინადადება.

გაუქმდეს დარბაზის საბჭო;

მის მაგივრად ავირჩიოთ სპიკერატი 3–5 კაცის შემადგენლობით;

სპიკერატის ფუნქციები იქნება: დარბაზის შეკრების ორგანიზება, სხდომის წაყვანა, განსახილველი საკითხების მოძიება, დარბაზის ინფორმირება საგვარეულო მოძრაობაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ინფორმაციების მიწოდება დარბაზისათვის ყველა სიახლეებზე. შექმნილი საგვარეულო კავშირების აღრიცხვა.

საკითხები რომლებიც უნდა იქნეს წინამძღოლთა დარბაზის შეკრებაზე წამოყენებული: წინამძღოლების საკუთარი საქმიანობის წარმოჩინება, გამოცდილების გაზიარება, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების ფონზე წინამძღოლების ამოცანები, რეგიონებში წამოჭრილი პრობლემების მიმართ წინამძღოლების დამოკიდებულება და აქტიურობა. მონაწილეობა დიდ საეკლესიო და საერო დღესასწაულებში.

დარბაზის საქმიანობა უნდა იყოს, როგორც სათაბირო ორგანოსი და მისი გადაწყვეტილებები სარეკომენდაციოა კავშირებისათვის იმ საკითხებზე, რომლებსაც დასჭირდება იურიდიული პირის სტატუსი, იმუშავებს საქართველოს საგვარეულოთა კავშირი „გვარი და გვარიშვილობა“.

კიდევ ერთხელ ვაფიქსირებ, რომ ეს არის ჩემი პირადი აზრი. გთხოვთ ყურადღებით მოეკიდოთ ამ წინადადებას და წარმოადგინოთ თქვენი ხედვებით.

ვაჟა ნადირაშვილი
გვარის წინამძღოლი
საქართველოს საგვარეულოთა
კავშირის
„გვარი და გვარიშვილობის“
გამგეობის თავჯდომარის
მოადგილე,
სრულიად საქართველოს
გვარების წინამძღოლთა
დარბაზის საბჭოს
თავჯდომარის მოადგილე

აკაკი შანიძის დაბადებიდან — 130 წლისთავი



დედაენის მესაიდუმლე

ერთი ცნობილი მწერალი ამბობს, პატარა სოფელს მაშინ გაუვარდება სახელი, როცა იქ დიდი ომის მოხდება, ან დიდი პიროვნება დაიბადებაო. სწორედ ასეთი ბედი ჰქონია გურიის პატარა სოფელს – ნოღას, რომლის სახელიც ასი წლის წინათ მხოლოდ საჯავახოელებმა იცოდნენ. ამ სოფელში ცხოვრობდა ღარიბი გლეხი გაბრიელ შანიძე, რომელსაც ცოლად ჰყავდა იობ შარაშიძის ასული ეფიზო.

ამ დროისათვის უკვე აღარავის ახსოვდა, რომ შანიძეები გურიაში სამხრეთ საქართველოდან იყვნენ მოსული და მათი გვარის ძველი ფორმა იყო შაინიძე, შაინი ანუ შაჰინი კი თეთრ ქორს ნიშნავს. ასე რომ, გვარი შანიძე (შაინიძე) მნიშვნელობით იგივეა, რაც ქორიძე.

1887 წლის 26 თებერვალს გაბრიელსა და ეფიზოს მეოთხე ვაჟიშვილი შეეძინათ. ქალიშვილის მონატრულ მშობლებს ისევ ვაჟის შეძენა მაინცდამაინც არ გახარებიათ. ბავშვს აკაკი დაარქვეს. სულმნათი მგოსანი აკაკი წერეთელი იმ დროს მხოლოდ 46 წლისა გახლდათ, მაგრამ უკვე გარემოსილი იყო ხალხის საყოველთაო სიყვარულით, რის ერთ–ერთ გამოხატულებასაც წარმოადგენდა მისი სახელის გახშირება ქართველი ბავშვების სახელად.

ახალშობილის ბედის გასაგებად, ალბათ, კარაბადინი და სამთვარიოც გაჩხრიკეს, მაგრამ მაშინ ვის შეეძლო იმის გამოცნობა, რომ ეს ბავშვი დიდი მეცნიერი გახდებოდა და ბიბლიურ ასაკს მიაღწევდა, რომ მას ქართული ენის ბუნების საიდუმლოთა ახსნა და მრავალი აღმოჩენა ელოდა. იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო გამომზეურებული მეთორმეტე საუკუნეში გადაწერილი ერთი ასტროლოგიური ტრაქტატი, რომელიც შემდეგ სწორედ აკაკი შანიძემ გამოსცა. მაში თევზის ეტლზე, ანუ თებერვალში დაბადებულის შესახებ ნათქვამია: „ვინცა ამას ეტსლსა ზედა იშვას, კაცი იყოს პირ–კეკლუცი და შესახადავად შუენიერი, ასო–კეკლუცი, კორცწმინდაი და თეთრი... ცნობილი და სიტყუა–წყლიანი... ღვაწლის მოყუარე და ბრძენი, ანუ მართალი“. ალბათ, აკაკი შანიძე მეთორმეტე ან მეოცე დარაჯაზე დაბადებულა, რადგან, „ვინცა მეთორმეტესა და მეცესა დარაჯასა ზედა იშვას, ბედიანი იყოს“.

სამრევლო სკოლის დამთავრების შემდეგ ათი წლის აკაკი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანეს, რომელიც 1904 წელს დაამთავრა და სწავლა განაგრძო კლასიკურ გიმნაზიაში, სადაც მესამე კლასში მიიღეს. მეხუთე კლასი რომ დაამთავრა, საგანგებოდ მოემზადა, მეექვსე კლასი გამოტოვა და მეშვიდეში დაიჭირა გამოცდები.

გიმნაზიაში სწავლისას შეხვდა აკაკი შანიძე თავის სახელოვან სეხნიას – აკაკი წერეთელს, რომლის იუბილეც 1908 წელს დიდი ზეიმით აღნიშნა მთელმა საქართველომ. ქუთაისში გამართულ საიუბილეო საღამოზე გიმნაზიელებმა მგოსანს საჩუქრად მიართვეს მისივე სურათი, დახატული მერვე კლასის მოსწავლის, შემდგომში გამოჩენილი მხატვრის, დავით კაკაბაძის მიერ, მის უკან მხარეს კი მოთავსებული იყო აკაკი შანიძის ლექსი. რამდენიმე დღის შემდეგ, 1909 წლის 8 იანვარს, პოეტი მიიწვიეს გიმნაზიაში, სადაც ის ერთ დროს თვითონაც სწავლობდა. აქ მოხსენება მისი შემოქმედების შესახებ წაიკითხა აკაკი შანიძემ.

აკაკი შანიძემ გიმნაზია დაამთავრა 1909 წელს და იმავე წელს ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე, სადაც იმ დროს ლექციებს კითხულობდნენ სახელგანთქმული მეცნიერები: ვ. ჟუკოვსკი, ი. ბოდუენ–დე–კურტენე, ლ. შჩერბა, ი. კრაჩკოვსკი, ვ. ბარტოლდი, ნ. ადონცი და სხვები. სომხურ–ქართული ფილოლოგიის კათედრას განაგებდა ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელმოხვეჭილი პროფესორი ნიკო მარი. აქვე მოღვაწეობდა სულ მთლად ახალგაზრდა პრივატ–დოცენტი ივანე ჯავახიშვილი. ისინი ენერგიის დაუშურვებლად მუშაობდნენ ნიჭერ ქართველ სტუდენტებთან, რომელთაგანაც ბევრი შემდგომში ცნობილი მეცნიერი გახდა: იოსებ და დავით ყიფშიძეები, ვუკოლ ბერიძე, იუსტინე აბულაძე, გიორგი ჩიტაია, ვლადიმერ ფუთურიძე, გიორგი ჩუბინაშვილი, კარპეზ დონდუა, სიმონ ყაუხჩიშვილი და სხვები.

1908 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაარსდა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე, სადაც საფუძველი ეყრებოდა მომავალი ქართული სამეცნიერო კადრების მომზადებას და მოხსენებები ქართულად იკითხებოდა.

1911 წ. აკაკი შანიძე აირჩიეს ამ სამეცნიერო წრის გამგეობის თავმჯდომარედ. 1915 წელს ხსენებულმა წრემ თბილისში ქართულ ენაზე გამოსცა სამეცნიერო წერილების კრებული, სადაც მოთავსებულია აკაკი შანიძის წერილი – „ქართული კილოები მთაში“. აკაკი შანიძის ეს ერთ–ერთი პირველი ნაშრომი საერთოდ პირველი სპეციალური გამოკვლევა იყო ქართული ენის კილოების შესახებ, რომელმაც სათავე დაუდო ქართულ დიალექტოლოგიას. ნაშრომი ემყარებოდა მდიდარ მასალას, რომელიც შეკრიბა ავტორმა სამეცნიერო მივლინების დროს, 1911–1913 წლებში, როცა ის ჯერ კიდევ სტუდენტი იყო.

1913 წ. აკაკი შანიძემ დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი და ნ. მარის რეკომენდაციით იქვე დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად (ე. ი. ასპირანტად). ორი წლის განმავლობაში მან ჩააბარა სამაგისტრო გამოცდები და შეუდგა გამოკვლევის ბეჭდვას ქართული ზნის პრეფიქსების შესახებ, რომელიც სამაგისტრო დისერტაციად ჰქონდა გათვალისწინებული.

1917 წლის თებერვლის რევოლუციისთანავე ივანე ჯავახიშვილი შეუდგა აქტიურ მოქმედებას თავისი დიდი ხნის სანუკვარი იდეის განსახორციელებლად – ქართული უნივერსიტეტის დასაარსებლად. უკვე 1 მარტს მან თავის ბინაზე მოიწვია პეტერბურგში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა კრება, რომელსაც ესწრებოდნენ: იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, ს. ლორია და რამდენიმე სხვა პირი ამ ისტორიული კრების მსჯელობის ერთადერთი თემა იყო ქართული უმაღლესი სკოლის გახსნა.

როგორც ცნობილია, ქართველ მეცნიერთა თავდადებული ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდა და 1918 წლის 8 თებერვალს თბილისის უნივერსიტეტი საზეიმოდ გაიხსნა. მისი დაარსება და მთელი მისი ისტორია ექვს ათეულ წელზე მეტია განუყრელად არის დაკავშირებული აკაკი შანიძის სახელთან. ის შედიოდა უნივერსიტეტის პირველ პროფესორთა კოლეგიაში, 1919 წლიდან ხელმძღვანელობდა ქართული ენის კათედრას, ხოლო ამ კათედრის ორად გაყოფის შემდეგ, 1945 წლიდან გარდაცვალებამდე განაგებდა ძელი ქართული ენის კათედრას. 1918–1920 წლებში აკაკი შანიძე იყო სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის მდივანი, შემდეგ – პროფესორთა საბჭოს მდივანი; 1919–1922 წლებში განაგებდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას; ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის პირველი სამეცნიერო ორგანოს – „მოამბის“ გამოცემას. მის სახელთან არის დაკავშირებული პირველი დისერტაციის დაცვა უნივერსიტეტში, პირველი სამეცნიერო მივლინება, პირველი ექსპედიცია და სხვ. მას პირველს მოუხდა არაერთი სანივერსიტეტო კურსის ჩამოყალიბება და ლექციების წაკითხვა ისეთ დიციპლინებში, როგორიცაა ძველი ქართული ენა, ქართული სალიტერატურო ენის ისტორია, ქართული დიალექტოლოგია, სვანური ენა, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა და სხვანი.

იმ დროს, როცა ივანე ჯავახიშვილმა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერების შესახებ მოხსენება წაიკითხა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე (1923 წლის 10 თებერვალს), აკაკი შანიძე თბილისში არ იმყოფებოდა. ის პროფ. კორნელი კეკელიძესთან ერთად გაგზავნილი იყო ექსპერტად, რათა რუსეთის სიძელეთსაცავებში გამოევლინებინათ და საქართველოში დაებრუნებინათ სხვადასხვა დროს გატანილი ჩვენი მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები, მათ შორის ხელნაწერები.

ივანე ჯავახიშვილის დიდი აღმოჩენის ამბავი აკაკი შანიძემ გ. ახვლედიანის წერილით შეიტყო პეტროგრადში და მაშინვე მოაგონდა ერთი ადგილი გიორგი მთაწმინდელის ანდერძიდან, სადაც ხანმეტი და საბაწმიდური სახარებისშესახებ იყო საუბარი. ტერმინი „ხანმეტი“ გაუგებარი იყო და დავას იწვევდა მეცნიერთა შორის, ახლა კი აშკარა გახდა, რომ ეს ტერმინი სწორედ ისეთ ხელნაწერებს გულისხმობდა, სადაც ხ(ხან) პრეფიქსი მერმინდელი ნორმების თვალსაზრისით „ზედმეტად“ იყო ნახმარი. ამ თემაზე აკაკი შანიძემ საგანგებო მოხსენება წაიკითხ–ა, რის შემდეგაც ტერმინი „ხანმეტი“ კვლავ აღდგა თავისი სრული უფლებით.

აკაკი შანიძე გამოჩენილი რუსთველოლოგი იყო. ამ მხრივ მას იმდენი რამ აქვს გაკეთებული, რომ ერთ მეცნიერს სახელად მარტო ესეც ეყოფოდა. მან აღადგინა „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემა, რომელიც 1712 წელს განხორციელდა ვახტანგ მეექვსის რედაქციით. ამ გამოცემას მკვლევარმა უძღვნა საგანგებო გამოკვლევა, სადაც საბოლოოდ გაარკვია მისი რაობა.

აკაკი შანიძის აქტიური მონაწილეობით განხორციელდა პოემის რამდენიმ ეგამოცემა, რომელთა შორისაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტექსტი, გამოცემული ძირითადი ვარიანტებისა და კრიტიკული აპარატის დართვით 1966 წელს (ალ. ბარამიძესთან ერთად).

აკაკი შანიძე ავტორია ათეულობით-გამოკვევის „ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხებზე, რომლებიც ერთ მოზრდილ ტომს შეადგენს. მათში განმარტებულია პოემი სარაერთი ბუნდოვანი ადგილი და გასწორებულია მრავალი დაზიანებული ტაეპი.

აკაკი შანიძე ირაკლი აბაშიძესა და გიორგი წერეთელთან ერთად იყო წევრი იმ სამეცნიერო ექსპედიციისა, რომელმაც 1960 წელს იერუსალიმიდან ჩაომიტანა რუსთველის ფრესკული პორტრეტი და ახლებურად წარმოგვიდგინა პოეტის ბიოგრაფიის ზოგი საკითხი.

აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით იქნა შედგენილი „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია, რამაც დიდად შეუწყო ხელი თხზულების ენისა და ტექსტის გაცხოველებულ კვლევა–ძიებას. მან შეადგინა უკვდავი პოემის ლექსიკონიც.

ბუნებამ აკაკი შანიძეს ყველა სხვა სიკეთესთან ერთად ხანგრძლივი სიცოცხლეც უბოძა და ხანდაზმულობის წლებშიც შეუნარჩუნა მხნეობა და ნაყოფიერი მეცნიერული შრომის უნარი. 84 წლისამ გამოაქვეყნა თავისი ერთ–ერთი ბრწყინვალე მონოგრაფიული ნაშრომი„ქართველთა მონასტრები ბულგარეთში და მისი ტიპიკონი“, რისთვისაც ავტორს ივანე ჯავახიშვილის პრემია მიენიჭა; 88 წლისამ გამოსცა ძველი ასტროლოგიური ტრაქტატი „ეტლთა და შვიდთა მნათობისათვის“, 90 წლისამ კი – „ჭილ–ეტრატის იადგარი“ (სათანადო გამოკვევებითა და ენობრივი მიმოხილვით). ამავე ხანებში დაწერა „ძველი ქართული ენის გრამატიკა“, რომელიც ითარგმნა სომხურად და გერმანულად. ამ გრამატიკის გერმანულ თარგმანს ერთვის აგრეთვე ქრესტომათია, რომლის ლექსიკონიც ავტორმა შეადგინა.

აკაკი შანიძემ სიცოცხლეშივე მოიხვეჭა ხალხის სიყვარული და პატივისცემა, რომლის მსგავსიც იშვიათად რგებია წილად რომელიმე მეცნიერს. იგი 100 წლისა გარდაიცვალა 1987 წელს.

ზურაბ ჭუმბურიძე

ჟურნალი „მთიები„
1988 წელი

მოდებაძეები

მოდებაძეები ქართულ საისტორიო წყაროებში 16-ე საუკუნიდან მოიხსენებიან. 1515 წელს შედგენილი აბულახსარ ამირეჯიბისა და მისი თანამეცხედრის დადიან -გურიელისასულ ქეთინოს წყალობათა სიგელში, დაცულია ცნობები კაცხის მონასტრის შეწირულობათა შესახებ. საიდანაც ვგებულობთ რომ, ბრძოლიდან დაბრუნებულ აბულახსარს კაცხის მონასტერი დაქცეული დახვედრია. მას იგი აუშენებია და განუსახლებია. შეუსყიდია მონასტრის დაკარგული მამულები. ეს ყოველივე მონასტრისათვის შეუწირავს და იქ მოდებაძეები დაუსახლებია. ასევე არსებობს საინტერესო და არცთუ ისე უსაფუძვლო ცნობები იმის თაობაზე თუ როგორ მოხვდნენ აღნიშნულ ტერიტორიაზე ბაგური (ბაგრატიონ) მოდებაძეები. 1583 წელს გიორგი მეორე ბაგრატიონმა იმერეთის მეფემ, იმის შიშით, რომ მის მცირეწლოვან შვილს ლევანს მეფობაში არ შესცილებოდნენ, თავისი ძმა კონსტანტინე შვილთან ერთად შეუპყრია და კაცხის ციხეში გამოუკეტავს. იმავე წელს გიორგი მეორე გარდაიცვალა. იმერეთის მეფის ლევანის გიორგი მეორის-ძის მცირეწლოვანებით უნდოდა ესარგებლა ბიძამისს კონსტანტინეს ბაგრატიონს, რომელსაც იმერეთის ტახტის ხელში ჩაგდების დიდი სურვილი ჰქონდა. მან დაიპყრო არგვეთი, ციხეები სკანა და კაცხი. ლევანმა ბიძამისის წინააღმდეგ კავშირი შეკრა მამია მეოთხე დადიანთან და სიმამრის დახმარებით მომდევნო წელს დაამარცხა კონსტანტინე, რომელიც გახიზნულა თავის ამალასთან ერთად. ამალის ნაწილი რომელთა შორის ბაგრატიონებიც იყვნენ ზემო იმერეთში კერძოდ, კაცხ-სალიეთის ტერიტორიაზე მოდებულა და მათ სხვა გვარებისაგან თავი რომ განესხვავაბინათ ბაგურ (ბაგრატიონ) მოდებაძეები დაირქვეს. ასეთი გვარი ბაგურ მოდებაძეები იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდებიან იმერეთში, მათ იციან, რომ არიან დევნილი ბაგრატიონების შთამომავლები.

16-ე 19-ე საუკუნეების ქართულ სიგელ გუჯარში მოდებაძეები ჩანან ვითარც მოწმენი და სანდონი მეფეთა, დედოფალთა, კათალიკოსთა, თავადთა და აზნაურთა. ღმერთის წყალობით, საქართველოსა და ბაგრატიონთა ტახტის ძლიერებისათვის, მოდებაძეების გვარის მეომრები კომლის კოტად გამოდიოდნენ იმერეთისა და ქართლის სამეფო ლაშქარში, თავადთა: აბაშიძეთა, წერეთელთა და ამილახვართა სადროშოებში ალმისმპყრობელები იყვნენ და მტერს პირველები ეგებებოდნენ.

საინტერესოა კაცხის მონასტრის ისტორიაც, რომელიც 10-ე 11-ე საუკუნეების მიჯნაზეა აგებული. ცნობილია, რომ თავდაპირველად 11-ე საუკუნიდან 16-ე საუკუნემდე, კაცხის მონასტერი სამების სახელობის ყოფილა და თავიდანვე ბაღუაშთა ძლიერი ფეოდალური საგვარეულოს, მათ საძვალეს წარმოადგენდა. დავით აღმაშენებლის მიერ ბაღუაშთა საგვარეულოს დამარცხების და საქართველოდან განდევნის შემდეგ კაცხის ტაძარი უპატრონოდ დარჩა. 16-ე საუკუნეში მიტოვებული და დაზიანებული ტაძარი აღადგინა მისმა ახალმა მფლობელმა აბულახსარ ამირეჯიბმა (1510 1535წწ.) ამ დროიდან უკვე მაცხოვრის სახელზე ნაკურთხი კაცხის ტაძარი განახლებულ ცხოვრებას იწყებს და მჭიდროდ არის დაკავშირებული მოდებაძეების გვართან. კაცხის მონასტერს უდიდესი ისტორია აქვს. ასეთი შესანიშნავი ტაძრის აშენება ამ ადგილზე გვაფიქრებინებს, რომ კაცხის თავის დროზე სამხედრო-სტრატეგიული და საეკლესიო ცენტრი უნდა ყოფილიყო. 1990 წელს ტაძრის დღევანდელი მოძღვრის დეკანოზ ამირან მოდებაძის ინიციატივით კაცხის მონასტერში კვლავ განახლდა ღვთისმსახურება. კაცხის მონასტერში ინახება უწმინდესისა და უნეტარესის საქართველოს პატრიარქის ილია მეორის მიერ ნაკურთხი მოდებაძეების მაცხოვრის ხატი.

ასავე ინტერესს იწვევს კაცხის სვეტი, რომლის სიმაღლე 40 მეტრია. იგი მდებარეობს ჭიათურის რაიონის ტერიტორიაზე, მდებარეობს კაცხურისა და ღვითორის წყალგამყოფზე, სადაც მრავლად სახლობან მოდებაძეები. ამ სვეტის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: - კაცხის აღმოსავლეთით არს კლდე ხრამსა შინა ამოყვანილი ვითარცა სუეტი, ფრიად მაღალი მის კლდის თხემზე არს ეკლესია, არამედ ვეღარარა აღავლის კაცი, არც უწყიან ხელოვნება აღსვლისა- დღესდღეობით აღდგენილია სვეტის ძირში და თავზე არსებული სალოცავები სადაც ასვლა შესაძლებელია ყველა მსურველისათვის.

ამჟამად მოდებაძეები სახლობენ იმერეთში, შიდა და ქვემო ქართლსა და კახეთში. განსაკუთრებით მრავლად არიან, ჭიათურისა და ლაგოდეხის რაიონებში. საქართველოში მოდებაძეთა საერთო რიცხვი 6400 აჭარბებს. მოდებაძეების გვარმა მრავალი სასახელო შვილი მისცა საქართველოს: საგვარეულოს ჰყავს ცნობილი ქართველი მხედართმთავარი გენერალ-მაიორი, ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე მოდებაძე, იგი გახლავთ ოთხი ორდენისა და თორმეტი მედლის კავალერი. გამოჩენილი ქართველი მეღვინე, ღვინო ხვანჩკარის სამრეწველო ტეგნოლოგიის ავტორი კონსტანტინე მოდებაძე. ბეჭდაუდებელი ქართველი ფალავანი, საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ნოდარ მოდებაძე. მწერალი- აკადემიკოსი ი. გოგებაშვილის მედლის მფლობელი, ხუთი სასკოლო სახელმძღვანელოს ავტორი, პროზაიკოსი და დრამატურგი მერაბ ბაგურ მოდებაძე, მომღერალი მირზა მოდებაძე.

ღმერთმა ამრავლოს მოდებაძეთა გვარი.

მერაბ მოდებაძე

მკითხველთა საყურადღებოდ!

მოწოდებული მასალების შინაარსზე და ფაქტების სისწორეზე რედკოლეგია პასუხს არ აგებს.

ყველა საგვარეულო კავშირს, ყველა წინამძღოლს, ყველას ვინც ერთგულია საგვარეულო მოძრაობის, ვინც საკუთარი გვარის პატრიოტია

გთხოვთ ითანამშრომლოთ გაზეთ ,,გვარი და ტრადიციასთან“, მოგვაწოდეთ მასალები (სტატიები, ინფორმაციები, ფოტოები) საგვარეულო კავშირების შესახებ, საგვარეულო მოძრაობის, საქართველოს დემოგრაფიულ და სოციოლოგიურ, აგრეთვე ეროვნულობის და მართმადიდებლობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პრობლემატურ საკითხებზე, ვიზრუნოთ საგვარეულოთა კავშირის ,,გვარი და გვარიშვილობის“ და გვარის წინამძღოლთა დარბაზის მატერიალურ-ფინანსურ და ტექნიკური ბაზის განმტკიცება განვითარებისათვის. მასალები გამოგვიგზავნეთ **E-mail:vaja39@mail.ru**

ISSN 2449-2280
გაზეთის ელექტრონული ვერსია იხილეთ:
www.dspace.nplg.gov.ge

ჩვენი რეკვიზიტები:

სრულიად საქართველოს გვარის
წინამძღოლთა დარბაზის ფონდი
ს/კ 404953154
ბანკი: ,,რესპუბლიკა“ ბანკი
ა/ა **GE51BR0000010385861378**

მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი

საკონტაქტო ტელეფონები:
790770871; 593 531 950

სარედაქციო კოლეგია

ლევან ფრუიძე
ვაჟა ნადირაშვილი ტელ: 599 90-26-01
თენგიზ მაისურაძე ტელ: 599 97-41-90
მერაბ ლეკვეიშვილი ტელ: 577 41-02-00
ნინო სულამანიძე ტელ: 592 12-34-56

მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი
საკონტაქტო ტელეფონი: 790770871